პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

13 აგვისტო
შაბათი

1981. დასავლეთის ფრონტზე 15 000 გერმანელმა ჯარის-კაცმა უარი თქვა შეტევაზე. უმრავლესობა მათგანი სამხედრო ტყვეები იყვ ნ; 14 კაცი დახვრიტეს, 2 პოლკი გააგზავნეს ციხე სიმაგრეში.
1913 ავგუსტ ბებელის სიკვდილი.
1917. ჰელსინგფორსში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ,

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაგზავნა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ მბეჭდავ განყოფილება-ში, რუსთაველის ქ. № 4.
ტელეფონი №

დ ღ ი უ რ ი:

— ახალ ორლეანიდან ბათომში მოვიდა დიდი გემი 18.819 ტომარი პურის ქვლით.
— იუგო—სლავიაში იზრდება კომუნისტების დევნა.
— გვალვები გერმანიაში დღითი დღე უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 134 შაბათი, 13 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი 13 აგვისტო, 1921 წ. № 134

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს ყველა პატიოსან მოქალაქეს და მშრომელთ

უსაშინელესი სტიქიური უბედურე- ა ეწვია მთელ ვოლგის მხარეს—ამ ელი რუსეთის მასაზრდოებელს— ღელს.

წარმოუდგენელმა გვალვამ სულ ერთიანათ ამოწვა-ამოახმო, როგორც რეული ნათესი, ისე ბალახეულობა ა ამნაირათ ერთიანათ ამოაშრო რავალი მილიონიანი გლეხსაცობის საზრდოვებელი ყოველგვარი წყა- ო. შიმშილის მომაკვდინებელი გამ- არი ხელი, რომელზედაც ჯერ ისევ ევოლიუციის დასაწყისშივე ოცნე- ობდა ბურჟუა-მემამულეთა ხროვა, ღეს სინამდვილეთ გადიქცა. ის ათ ილიონიან მშრომელთა მასსის თავ- ა ღლიმართა და დაღარჩობით ჩაუჭ- ო ყელში მას. ამის გამო რუსეთის თრგვარდიელების და ევროპის რე- ქციონერების ქუჩაზე დიდი დღესა- წაულია გამართული. საბჭოთა ხე- ისუფლების ყველა მტრების გული იხარულითა ფეთქს, როცა შიმში- ისაგან ფერ მიხდილთ და არაქათ ამოცლილთ მიწის მუშებს, ქალებს, ოხუცებს და ბავშვებს ხედავენ. მ კონტრ-რევოლიუციის მგლებს ა აფთართ სიხარულის ნერწყვი მოს- ით, რომ ვოლგის ველებზე შიმში- ისგან დაცემულ მრავალ გვამს იპო- იან. ტანჯულთა კვნესა ახარებს ყვე- ა იმ სულით ბინძურთ კონტრევო- იუციისას რომლებიც საბჭოთა რუ- ეთის და კავკასიის პირიდან პრო- ეტარული რევოლიუციის ფოლადის ოცხმა ისე დაუზოგველათ აღგავა. მშრომელთა ყველა ჯალათნი—გურ- ოები და რიაბუშინსკები, ბურცევები და სავინკოვები, ყვითელი ინტერნაციონალი და მენშევიკები, რომლებიც ხელი ხელ ჩაკიდებული ძმურათ გადახვევიან ერთმანეთს, უყეფენ და ღმუიან, გაჰქვთ განგაში და სიხარულით მხეცური ჰანიბალები დავლურს უვლიან. შავ-ყვითელ ემიგრანტების პრესის ორგანოები ყველა საყვირებით გაჰკივიან იმაზე, რომ დროა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკებს თავს დაესხენ და აიკლონ ისინი. საქართველოს საზღვრებიდან გასროლილი მენშევიკური წვრილფეხობაც კი რომელიც დღემდე საქართველოდან გატაცებული სახალხო ქონებით იპურებს სულს, რომელიც სტამბოლისა და პარიჟის ყავახანებში ქეიფსა და გარყვნილობაში ატარებს დროს, საბჭოთა ხელის უფლებას სულგრძელობის მფარველობას ქვეშ ბედავს და ინსტრუქციებს აწვდის თავის მრევლს, რომელსაც ურჩევს კომუნისტებთან ბრძოლაში ახალ ტაქტიკას დაადგეს, რომელიც დამყარებული იქნება რუსეთის ახლანდელ და მომავალ უბედურებებზე. მოსყიდული პრესის ბანდიტები რომელთაც თავიანთი მჩატე სინდისი მძიმე ლითონზე გაუცვლიათ, ამ მიზნით, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა სული მაღლა აწიონ, თავისიანებს უხვათ ჰკვებავენ ზღაპრებით, ვითომ რუსეთი დღეს აჯანყებებით და არეულობით არის მოცული, ვითომ იქ გადატრიალება გადატრიალებაზე ხდება. ესერების ბანდები დაძრწიან სამხრეთ რუსეთში და ძარცვა-გლეჯას, მკვლელობებს აწყობენ, ანხორციელებენ რა თავიანთ კანდალურ პროგრამას. საბჭოთა რუსეთის შიგნით და გარეთ ხდება მის მტერთა, როგორც პოლიტიკურ ისე ყაჩაღურ შავრაზმულ ელემენტების მობილიზაცია.

მაგრამ რევოლიუციის გუშაგნი ახლა უფრო მეტი სიმტკიცით და მაგრათ დგანან თავთავიანთ პოსტებზე, გაჰყურებენ რა შორს, შორს, რომ მტერი არ წამოეპაროთ და ამიტომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას სრულიად არა აქვს შიში იმისი, რომ შიმშილობის წყალობით მის მტრებს იმედები გაუმართლდებათ და ისინი ამ საშუალებით მის მორჩობას შესძლებენ.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! თქვენ კი არ უნდა მიეცეთ შიშს და არ უნდა დაემყაროთ იმ სიცრუე სიყალბეს, რომელსაც ავრცელებენ დღეს პოლიტიკური ნაძირალები, არამედ სრულიათ გულდამშვიდებით და სერიოზულად აწონ დაწონოთ ის გარემოება, რომ მოსალოდნელია მტერმა კონტრ-რევოლიუციური მიზნით ვოლგის მხარეში მძვინვარე შიმშილობა თავის სასარგებლოთ გამოიყენოს. თქვენთვის სრულიათ ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ უბედურებას შეუძლია გამოიწვიოს შრომის ნაყოფიერების დაცემა და ძლივს ძლივობით ოდნავ აღდგენილ სამეურნეო საწარმოვო აპარატის ისევ დარღვევა, ყველა სამეურნეო გეგმების ჩაშლა და მთელი ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემის შეჩერება. თქვენთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ საბჭოთა რუსეთის უბედურება—ეს პატარა საქართველოს უბედურებაც არის და რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების დაღუპვის აუცილებელი შედეგი საქართველოს მონობა და მისი კოლონიალური ექსპლოატაცია იქნება.

მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო! საქართველოს კომუნისტური პარტია მოგიწოდებთ თქვენ და თქვენთან ერთათ საქართველოს ყველა პატიოსან მოქალაქეთ, რომ მთელი თქვენი ყურადღება, მთელი ენერგია, რევოლიუციური ინიციატივა და შრომის ნიჭი, მთელი საორგანიზაციო გამოცდილება და პრაქტიკა რუსეთში დღეს მძვინვარე შიმშილთან ბრძოლაში გამოიყენოთ. მოგიწოდებთ თქვენ, რომ თქვენი წილ ხვედრი ნაწილი თქვენი ნერვებისა და კუნთებისა, ნაწილი თქვენი მცირე ქონებისა, ნაწილი თქვენი მწირი ნამუშევრისა გაიღოთ, რომ სიკვდილისგან დაიხსნათ მილიონ ძმების სიცოცხლე, რომ თავიდან აშორებულ იქნას ის ახალი გარდუვალი დაბრკოლებანი, რომლებიც ამ უბედურებით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას დღეს წინ გადეღობა.

საქ. კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწამს, რომ მისი მოწოდება საქართველოს მშრომელთა ფართე მასების გულში სრულ გამოძახილს და თანაგრძნობას ჰპოვებს და რომ რუსეთის პროლეტარიატი, დაემყარება რა საქართველოს მშრომელ ხალხის ძმურ მშველელ ხელს, ადვილათ შესძლებს გაუმკლავდეს და დაამარცხოს ქვეყნათ უძლიერესი და უსაშინელესი მეფე-შიმშილი, ვით მან დაამარცხა მეფეთა მეფე—კაპიტალი.

საქ. კომ. პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი 10 აგვ. 1921 წ.

მენშევიკების მუშაობა.

თუ რას აკეთებენ საზღვარგარეთ გადახვეწილნი მენშევიკები, თუ როგორ გაფაციცებულ მუშაობაში არიან, რათა მოახერხონ იმპერიალისტების დაჯერება საბჭოთა საქართველოს დაპყრობისა და მუშურ-გლეხური ძალაუფლების დამარცხების საჭიროებაში, ეს ცოტაოდნათ მაინც იცის ჩვენი გაზეთის მკითხველმა საზღვარგარეთის გაზეთების ცნობებიდან და იმ ოფიციალურ დოკუმენტებიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო, მაგრამ მკითხველს ნაკლები წარმოდგენა აქვს იმ მჭიდრო დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს საზღვარგარეულ და აქ საბჭოთა საქართველოში მუშურ გლეხური მთავრობის სულგრძელობის დატოვებულ მენშევიკებს შუა. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი საინსტრუქციო წერილი (№ 4), რომელიც გამოგზავნილია აქაურ მენშევიკების ხელმძღვანელების სახელზე. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კარგათ უნდა ჩაუკვირდნენ და შესაფერისად უნდა დააფასონ ქართველ მენშევიკების შავი, რეაქციონური განზრახვები და მისწრაფებანი. ამიტომ მოვიყვანთ წერილის ზოგ უფრო საინტერესო ადგილებს.

„ძვირფასო ამხანაგებო! მოსაწერი და გადმოსაცემი ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ ვართ აღჭურვილი ამისათვის ყველა საშუალებებით. ამის მიზეზი უმთავრესად თქვენა ხართ. ვინაიდან ჩვენ რამოდენიმე საშუალებებზე მიგითითეთ... დაბეჯითებით გთხოვთ გვაცნობოთ: გადმოქცეს თუ არა ჩვენი დავალებანი და გაგვაგებინეთ თუ არა ის საშუალებები, რომელთა შემწეობით ყველაფრის მიწერ-მოწერა შეიძლება. ეს აუცილებელია, რომ შემდეგში საშუალება მოგვეცეს წესიერი ინფორმაცია მოვაწყოთ. მოგვეხსენებათ, რომ წვრილმანსაც ამ საქმეში ხშირათ დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ მაგალითად გავიწყდებათ: დააწეროთ ინფორმაციულ ცნობას №, რიცხვი და სხვა. უამისობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ზოგი რამ გზაში იკარგება... თქვენი ცნობები რომელიც ჩვენ მოგვივიდა ძალიან ცალმხრივია და ზოგადი. უნდა იცოდეთ რომ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, უმნიშვნელო ფაქტსაც კი. ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო იმის რეზიუმე, რაც მანდ ხდება, არამედ აწერილობა იმისი, როგორ ხდება, სურათი მთელი ცხოვრებისა. ჩვენ გვინდა დახასიათება მთელი პარტიების, მათი მუშაობის (რამდენადაც ეს შესაძლებელია), სულის კვეთების. ურთიერთ შორის დამოკიდებულების დახასიათება, დაწვრილებით ბოლშევიკების როგორც პარტიის, აგრეთვე მათი ცალკე მოღვაწეების. ეს მით უფრო საჭიროა, რომ რუსეთში დაიწყო კომუნისტურ პარტიის დემორალიზაცია, რომელიც ალბათ გადმოდებული აქვს ჩვენ კომუნისტებსაც!..

დაიმედა რა და აწუგეშა თავისი საქართველოში დარჩენილი მრევლი, წერილის ავტორი დაპირებას იძლევა:

„აქედან ჩვენ ვეცდებით სისტემატიურად გიგზავნოთ (ცნობები) როგორც **საქართველოს სასარგებლოდ** გაწეულ მუშაობას, ისე საერთო მდგომარეობისაც. პირველი ინფორმაცია გამოგიგზავნეთ, უნდა დაგვიდასტუროთ მიიღეთ თუ არა. თუ არ მიგიღიათ გავიმეორებთ. საზოგადო ამბებს ევროპის ცხოვრებიდან გადმოგცემთ **„თავისუფალი საქართველო"**, რომელიც ამიერიდან უფრო ხშირად გამოვა".

შემდეგი დირექტივა ეხება დანარჩენ პარტიებთან დაახლოვებას ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთი მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

„კიდევ გიმეორებთ, რომ საჭიროა და აუცილებელი რათა ანტიბოლშევიკურ პარტიებს და ჯგუფებს შორის იყოს კონტაქტი. მიუკარებლობას და გაუტანლობას ახლა ადგილი აღარ უნდა ქონდეს"...

ამიერიდან ქართველი მენშევიკები უნდა მივიჩნიოთ ერთი მთლიანი რეაქციონური ბანაკის მებაირახტრეებათ მათთვის მიუკარებლობა და გაუტანლობა ყველა დანარჩენ ანტიბოლშევიკურ პარტიებისადმი, თვით შავრაზმულ პარტიებისადმიც კი, შეუწყნარებელი ცოდვა არის ვიცოდეთ ეს, იცოდენ ეს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებმაც.

„ასეთია ჩვენი ყველასი აზრი აქ, დასძენს წერილის ავტორი. შეიძლება ეს ასეც ხდება ამ ჟამად საქართველოში, მაგრამ თუ ჩვენ ამ შემთხვევაში ვცდებით, თუ სინამდვილეში საქმე სხვანაირათ არის) ძალიან დაგვავალებთ თუ მოგვწერთ ამის მიზეზებს".

მენშევიკების უბედური ბედით დაინტერესებულა თურმე ევროპის არა მშრომელნი, არამედ იმპერიალისტები, რომელნიც პირველად ცივად შეხვდენ გვირგვინ დაკარგულ ლტოლვილებს საქართველოდან:

„ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა თან და თან მეტს ინტერესს იწვევს უცხოეთში. პირველ ხნების საყვედურები და ინდიფერენტიზმი ადგილს უთმობს აქტიურ ინტერესებს"...

თურმე „ერთა ლიგის საზოგადოების კრებაზე" გამოუტანიათ რეზოლიუცია, სადაც სასტიკათ დაგმობილია ბოლშევიკების მოქმედება და კატეგორიული მოთხოვნილებაა, რომ საქართველოს მიეცეს თვითგამორკვევის საშუალება. ე. ი. მენშევიკებს მიეცეთ საშუალება საქართველო ხელ ახლა ევროპის იმპერიალისტების სათარეშო ასპარეზათ გადააქციონ. ამ კრებას თურმე „დაესწრენ აგრეთვე რუსებიც — ბრიან—ჩაინოვი, **ძველი რუსეთის წარმომადგენელი და ავქსენტიევი"** (მემარჯვენე, თეთრგვარდიელთა ქომაგი სოც. რევოლიუციონერი) ძველი რუსეთის წარმომადგენელთ, მეფის ჯიშიან, მარა კბილებ ჩაცვივნულ ბიუროკრატს, და სოფლის კულაკების ბელადს, რომელნიც დღეს ქართველ მენშევიკების მფარველ ანგელოზების როლში გამოდიან, მოუთხოვიათ საქართველოდან მარტო წითელი ჯარის და არა ყველა უცხო ჯარების გაყვანა, რაიც ნიშნავს: პროლეტარული დიქტატურის დამცველი ჯარის მაგიერ საქართველოში უნდა იდგეს ჯარი დამცველი იმპერიალისტების დიქტატურის, ჯარი კაპიტალისტების და მემამულეების მონამორჩილი. ქართველ მენშევიკებსაც ეს უნდოდათ ყოველთვის.

წერილის ავტორი გლახა ქრიაშვილისავით იმეორებს ათი-ათასჯერ დაპირებულ ბედნიერების ამბავს: „ჩვენებს დაპირდენ, რომ საქართველოს ერთა ლიგაში მიიღებენ" ო. ემიგრანტი მენშევიკები დღესაც ხომ ბრიანების და ბრიანჩანინოვების რეაქციონურ ლიგაში ითვლებიან, „საქართველო" კი არც წინათ საჭიროებდა ასეთ ლიგაში მიღებას და მით უფრო არ საჭიროებს დღეს, როცა ის მიღებულია საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციურ ლიგაში—კომუნისტურ ინტერნაციონალში.

„მეორე საყურადღებო ფაქტი ის არის, რომ ამ დღეებში დასრულდა მოლაპარაკება მთიელებ, აზერბეიჯანელებ, სომხებსა და ჩვენს შორის პარიზში. ეს ოთხი რესპუბლიკა გამოვიდა ერთი დეკლარაციით, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროდ და აუცილებლად სცნობენ იყოს ერთი **საბაჟო კედელი, თავდაცვითი სამხედრო კავშირი, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა და სადაო საკითხების გადაწყვეტა შეთანხმებით. ბრიანმა მიიღო ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენელნი და საფრანგეთის მხრივ დაპირდა დახმარებას.** გაზ. „ტან"-ში იმავე დღეს მეტად კარგი მოწინავე წერილი იყო მოთავსებული, საზოგადოთ აქ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა სახელმწიფოებზე. ამათ მიეცა იმედი, რომ ამიერ კავკასიაში შეიქმნება სერიოზული და საიმედო ძალა, რომელიც წინააღუდგება რუსეთს"... ოლონდაც! ბრიანები და საერთოთ იმპერიალისტური მთავრობები მენშევიკებს, მუსავატელებს, დაშნაკელებს და მთიელთა თავადებს გაუწევენ დახმარებას, რათა მუშურ-გლეხური მთავრობები დასცენ და ხელახლა მძიმე უღელი დაადგან ამიერ-კავკასიის მშრომელთ. მაგრამ შესაძლებელია კი ეს ბ.ბ. მენშევიკებო თქვენთვის, თუნდა მთელი ქვეყნის მყვლეფელთა დახმარებითაც?

„უნდა იცოდეთ—დასძენს თვითმომწონეთ წერილის ავტორი — რომ **მთელი ეს საქმე მოხდა ჩვენების ინიციატივით და მათი ბეჯითი მუშაობის ნაყოფია. ეს იციან საფრანგეთში და ინგლისში".**

იცოდენ ეს საქართველოში მყოფ მენშევიკებმა, მარა უნდა იცოდეს ეს ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია საბჭოთა ხელისუფლების, მშრომელთა დიქტატურის შენარჩუნებაში, კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის მოსპობაში. იცოდეს ეს რევოლიუციის სადარაჯოზე მდგომ საქართველოს „ჩეკა"-მაც. დასასრულ წერილის ავტორი გულს იოხებს ჭორიკანობით: ლენინი გადადგა, მან განაცხადა რომ სანამ ტროცკი, ზინოვიევი და ბუხარინი იქნებიან პარტიაში, მას არ სურს დარჩენა არც მთავრობაში და არც **პარტიაში!!** „ამ თვალსაზრისის მიხედვით გადაიდვა სხვათა შორის მესამე ინტერნაციონალის კონგრესი" აი რა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილან გარიყული ქართველი მენშევიკები! მესამე ინტერნაციონალის კონგრესი როგორც ვიცით 12 ივლისს დასრულდა ნაყოფიერათ. ასეთივე სისწორის გამოდგება მენშევიკების შემდეგი ინფორმაცია და მათივე წინასწარმეტყველობაც. ისტორიის მიერ განწირულთ ვერაფერი უშველით. პროლეტარული რევოლიუციის მოსისხლე მტრებს ისტორიის ბორბალი გასრესს და შორს გადისვრის.

კავკასიის გაერთიანება

ჯერ ისევ საშუალო საუკუნეებში გაერთიანდა სამი თუ ოთხი სულ სხვა და სხვა ტომით დასახლებული მხარე ევროპაში და შექმნა სრულიათ ინტერნაციონალური, თუმცა ბურჟუაზიული, სახელმწიფო—რესპუბლიკა. მე ვამბობ დღევანდელ შვეიცარიაზე.

ეს მოხდა კაპიტალიზმის დასაწყისში, ხოლო დღეს როცა კაპიტალიზმი სულს ლევს და მის ნანგრევებზე ახალი საზოგადოებრივი შენობა უნდა აგოს, ევროპისა და აზიის ყელზე ხდება იგივე მოვლენა: ერთიანდება მხარე, კავკასია, რომელიც დასახლებულია მთელი ათეული სხვადასხვა ტომით და ხალხით.

დიდი მსგავსებაა ამ ორ ისტორიულ ფაქტს შორის: პირველიც და მეორეც აღმოცენებულია ისტორიულ-ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ განსხვავებაც დიდია და ეს მდგომარეობს იმაში, რომ პირველი აღმოცენდა „ბურჟუაზიული დემოკრატიზმის" ფონზე, ხოლო მეორე—კავკასიის გაერთიანება—ხდება პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა რესპუბლიკის დროშის ქვეშ.

პირველია ბურჟუაზიული „ინტერნაციონალიზმის" სრული გამოხატულება, ხოლო მეორე პროლეტარულის.

ისტორიამ იცის სხვაგვარი გაერთიანებაც, მაგალითათ გერმანიის, ამერიკის და სხვათა ფედერაციები, მაგრამ აქ სწორეთ ის ელემენტი თითქოს გამქრალია, რომელსაც ეწოდება ინტერნაციონალიზმი.

ეს იმიტომ, რომ ფედერაციას ეროვნული ჩამოყალიბება წინ არ უძღვის, არ უსწრებს. სხვანაირათ რომ ვთქვათ ეს იმას ნიშნავს, რომ მხარე მანამ გაერთიანდა, შეკავშირდა, ვიდრე მისი შემადგენელი ტომები ერთ ერათ გადიქცეოდენ.

ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ ერთიანობას ეროვნებას ჰქმნის „ეკონომიური წარმატება", უკეთ—კაპიტალიზმის განვითარება იმ მხარეში, სადაც სხვადასხვა კუთხეები ერთიანდებიან საქართველოს კუთხეებით მაგალითათ —გურია, იმერეთი, ქართლ-კახეთი, რაჭა ლეჩხუმი და სვანეთი გაერთიანდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში კაპიტალმა შემოყო თავი.

ცოტათ თუ ბევრათ ამ კაპიტალის, განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალის მეოხებით გაერთიანდენ კავკასიის სხვადასხვა ტომებით და ხალხებით დასახლებული კუთხეები, მაგალითათ: აზერბეიჯანი, დაღესტანი, მთიულეთი, ყუბანი და სხვადასხვა. მართალია ერთ სახელმწიფოებრივ ფარგლებში მათ მოქცევას ყოველი ღონით ცდილობდა თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ის ამას ვერ შეძლებდა, თუ რომ ეკონომიურ წარმატებას საერთოთ კავკასიაში ადგილი არ ექნებოდა. და არ გაძლიერებულიყო, ვთქვათ, ევროპა ამერიკის და რუსეთის ვაჭრობა კავკასიასთან, არ აღორძინებულიყო ნავთის მრეწველობა აზერბეიჯანში, ხოლო მარგანეცის— საქართველოში, კავკასია დღესაც ცალ ცალკე სამთავროებათ და სახანოებათ იქნებოდა დანაწილებული და იქ არა თუ საბჭოთა სისტემას, არამედ „ბურჟუაზიულ დემოკრატიზმსაც" ადგილი არ ექნებოდა.

მაგრამ ისტორიამ ჩვენდა საბედნიეროთ ინება სხვა: „ბედი ქართლისა გადაწყდა კრწანისის ველზე" და მით გადაწყდა მთელი მომავალი ბედი კავკასიისაც.

საქართველომ პირველმა გაუღო კარი კავკასიისაკენ რუსეთის მხედრულს და კულტურულ ძალას და მას შემდეგ ეს ძალა მიედო მთელ კავკასიას.

მაგრამ ამ ძალამ, რუსულმა ძალამ, ვიდრე ის მეფისა და ბიუროკრატიზმის დროშის ქვეშ მოქმედებდა, ვერ შესძლო კავკასიის ვერც ეკონომიური და ვერც პოლიტიკური ჯეროვანათ გაერთიანება. მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა ასეთ გაერთიანებას, მაგრამ თვითონვე სათავეში წინააღმდეგობით მოშლილი, უნდა დაშლილიყო კავკასიის ფარგლებშიაც. ასედაც მოხდა: რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად დაემხო და მოისპო კავკასიის ერთობაც, გაჰქრა მისი გაერთიანების პროცესი.

მენშევიკები ფიქრობდენ ამ გაერთიანების აღდგენას ფედერაციის, უნიის საფუძველზე. ჩვენი ნაციონალისტებიც ახლაც კი ოცნებობენ კავკასიის მხოლოთ ეგრეთ წოდებულ „კონფედერაციაზე".

მაგრამ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ხანაში არც „კონფედერაციაზე" და არც ბურჟუაზიულ შვეიცარიისებურ „ინტერნაციონალიზმზე" ლაპარაკი არ შეიძლება. გაჰქრა სამუდამოთ ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალიზმის აღორძინებას და ამ აღორძინების ნიადაგზე ხალხთა გაერთიანება-კავშირს.

დღეს მსოფლიო რევოლიუციის ხანაში, როცა უკვე სამი ოთხი წელია საბჭოთა რესპუბლიკები არსებობენ და პროლეტარიატის დიქტატურას მსოფლიოს ფარგლებში თან და თან ანხორციელებენ, მსოფლიო პროლეტარულ პოლიტიკას აწარმოებენ, ცხადია ხალხთა დაახლოვება-დაკავშირებაც და „გაერთიანებაც" სხვაგვარი ხდება, ვიდრე ეს დღემდე იყო.

ცხადია, რომ დღევანდელ კავკასიის გაერთიანებასაც ეკონომიური გაერთიანების საჭიროება უძევს საფუძვლათ. მაგრამ ეს ეკონომიური საჭიროება სრულდება არა იმ ძალით და საშუალებით, რომლებსაც ერთ დროს თვითმპყრობელობა ან ამ ბოლო ხანებში მენშევიკების მთავრობა ხმარობდა.

არა, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ მუშურ გლეხურ რუსეთის ახალი პროლეტარული მთავრობა, მისი ხელმძღვანელი პარტია, კომუნისტური პარტია არის ის ძალა, რომელიც აერთიანებს კავკასიის ათეულ სხვადასხვა ხალხის მებრძოლი პროლეტარიატის დროშის ქვეშ მშრომელთა მასსების ინტერესების საფუძველზე.

რა თქმა უნდა ეს საფუძველი არის ეკონომიური ხასიათის და ამიტომაც იყო, რომ კომუნისტური პარტიის მეთაურობით კავკასიაში გაერთიანდა და ერთიანდება ყველა ეკონომიური ხასიათის საქმეები: რკინის გზა საგარეო ვაჭრობა და სხვა; ამიტომ იყო იმავე პარტიის მეთაურობით მოეწყო კავკასიის გულში, ქ. თბილისში გამაერთიანებელი ეკონომიური თათბირი, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ამიტომ არის, რომ ამ გაერთიანებულმა ძალამ კომუნისტურმა პარტიამ ამ დღეებში გადაწყვიტა, სასწრაფოთ მოახდინოს, ვინაიდან ამას მომენტი თხოულობს, კავკასიის გამაერთიანებელი პარტიული თათბირიც, რომ ერთხელ და საბოლოოთ დაუდვას ურყევი საფუძვლები კავკასიის იმ გაერთიანების, „მჭიდროთ დაკავშირების" პროცესს, რომელიც საქართველოში კომუნისტურ გამარჯვებით დაიწყო.

ამით გზა გადეჭრა უცხო კაპიტალიზმს კავკასიისაკენ, ამით შინაური კაპიტალიზმიც ძირამოგდებული გახდება და კარები ფართოთ გაეღო შრომის სუფევას, სოციალიზმს. ეს ხდება კავკასიაში რუსის მუშა ხალხის კულტურული ძალის შეგნებით ისე, ვით ამ 120 წლის წინათ მოხდა კავკასიის დაახლოვება რუსის ხალხთან და დაიწყო კაპიტალიზმის აღორძინება ჩვენში.

იმ დროს კაპიტალიზმი შემოიჭრა ჩვენში, ხოლო დღეს სოციალიზმი იწყება და ამ ორ ქვეყანას, ორ სამყაროს ერთი-მეორისაგან აშორებს მხოლოთ ერთი საუკუნე! ჭეშმარიტათ ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც წილათ ხვდა ერთი საუკუნის შემდეგ კისრიდან გადიგდოს მონობის ის მძიმე უღელი, რომელიც მაღალ კულტურულ ხალხებს რამდენიმე საუკუნეა აწევთ და დღესაც ის ვერ მოუშორებიათ!

რ. კ.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეშვიდე (27 ივნისი)

სხდომა იხსნება საღამოს 8 საათზე.

ამხ. ფრიზლანდი. (გ. გ. კ. პ.) ის აკრიტიკებს გერმანიის კომპარტიის ეგრედ წოდებულ ოპოზიციის წარმომადგენლებს. ამხ. ცეტკინის ტემპერამენტი,—ამბობს ის,—ძლიერია მის პოლიტიკურ მეხსიერებაზე და მისი განცხადებანი აქ მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე სრულიადაც არ ჰგავს იმას, რაც სინამდვილეში იყო გერმანიაში. მე მშვენივრათ ვიცი აგრეთვე, რომ იმ ამხანაგებს, რომლებიც თავს იყრიან მალცანის გარშემო, საკმარისი დრო ჰქონდათ შეეკრიბათ მარტის ამბების სტატისტიკური მასალები და ემოგზაურათ ერთი სამრეწველო დაწესებულებიდან მეორისაკენ, სრულიადაც არა იმისთვის, რომ გამოეხმოთ მუშები ბრძოლისაკენ, არამედ იმისთვის, რომ ეცნობებიათ, თუ სად არ არიან გაფიცული. მე სრულიადაც არ მსურს ვამტკიცო ის,—ამბობს ის შემდეგ,— რომ არ ყოფილა შეცდომები მარტის დღეებში, და საზოგადოც არ შეიძლება იყვეს ისეთი პარტია, რომელიც არ ჩაიდენდა შეცდომებს ამ გვარ ბრძოლაში. საჭიროა მხოლოთ იმის გაგება, თუ რაშია უმთავრესი შეცდომა, ხოლო ის იყო იმაში, რომ ძველი ცენტრალური კომიტეტი მოკლებული იყო უნარს შეექმნა მებრძოლი პარტია. იმის მაგივრათ, რომ შეექმნა მებრძოლი ძლიერი პარტია მარტის ამბებამდე, არსებული ძველი ცენტრალური კომიტეტი ჩაფლული იყო საკითხებში, სურს თუ არა რაკოშს გათიშოს გერმანიის პარტია და საჭიროა თუ არა დაუპირდაპიროთ აზიურ-ბოლშევიკურ გავლენას კომინტერნში დასავლეთ ევროპიული. თანახმათ ამის ლევი აწარმოებდა სისტემატიურ ბრძოლას კომინტერნის გავლენის წინაღმდეგ და იყენებდა საკითხს გ. კ. მ. პ. შესახებ ამ ბრძოლისათვის, და სრულიად სარწმუნოთ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ გარეკულისების კამპანია წარმოებდა მეორე კონგრესის პირველ დღიდანვე ამაში იყო ცეკას უმთავრესი შეცდომა. ლევის გაძევებამ პარტიიდან, რომლის სათავეში ის იდგა, გამოიწვია საყოველთაო პატივისცემა პარტიისადმი შეკავშირებულ მუშების ფართო მასსებში და ამხ. ცეტკინის ყოფაქცევა დაგმობილ იქმნა მის მახრაშიაც კი.

ამხ. ოვერსტრატენი (ბელგიის კომპარტია) ჩერდება ამხ. ლეპიკის სიტყვაზე:—ამხ. ლეპიკი გვითითებდა თავის სიტყვაში,—ამბობს ის,—რომ უმთავრესი სიძნელენი, რომლებიც დგანან კომუნისტურ მოძრაობის წინაშე ბელგიაში, არის წინააღმდეგობა ვანდერველდესი, ჰუისმანსის, დე-ბრიუკერის, მე-2 ინტერნაციონალის ამ მოთავეების. მაგრამ საქმე ამ ცალკე პირობებში კი არ არის, რომლებიც საერთო მნიშვნელოვანი როლს არ თამაშობენ, არამედ მთელ რეფორმისტულ სულში, რომლითაც გაჟღენთილი არიან პროლეტარიატის მასიური ორგანიზაციები: პროფკავშირები და კოოპერატივები. ბიუროკრატია, რომელიც ბატონობს ამ დაწესებულებებში, ახშობს კომუნისტურ მოძრაობას. მაშინათვე ზავს ჩამოაგდებს შემდეგ ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება მივაქციეთ სინდიკატებში მუშაობას. თუმცა პარტია კომინტერნის მე-2 კონგრესზე გამოდიოდა პარლამენტარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომ საკითხი გადაჭრილ იქმნა კონგრესის მიერ, პარტია ურცხვათ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას. ლაპარაკობს რა სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ფრთაზე, ამხ. ოვერსტრატენი მიუთითებს, რომ ის აქამდე არ აქცევდა საჭირო ყურადღებას ფართო მასშტაბით მუშაობას. რასაკვირველია, ამბობს ის, კავშირი მემარცხენე ნაწილთან შესაძლებელი და სასურველიცაა, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ორივე პარტიების გაერთიანების შედეგათ ბელგიის კომუნისტური პარტია შესამჩნევათ გაძლიერდება. დაბოლოს ამხ. ოვერსტრატენი აღნიშნავს სიძნელეთ, რომლებიც დგანან ბელგიის პარტიის გზაზე და რომლებიც გამოწვეულია მით, რომ ბელგიაში წინათ არასოდეს არ არსებობდა წმინდა მარქსიზმის იდეოლოგია.

ამხ. კელენი (გერმანია). ამბობს: კომუნისტური მოძრაობის ზრდა დაიწყო გერმანიაში კაპის გამოსვლების შემდეგ, როდესაც მუშებმა გაიგეს, რომ აუცილებელი საჭიროა გაერთიანებული პარტია. გერმანიის პროლეტარიატში ჩამოყალიბდა მაშინ ნახევარი მილიონი ნამდვილი რევოლიუციონური მებრძოლი, რომლებმაც დაგვანახვეს ბრძოლაში, რომ ისინი ჭეშმარიტი რევოლიუციონერები არიან. ამ მუშებმა მთელი თავისი იმედები დაამყარეს ცეკას, მაგრამ ისინი მოტყუილებული დარჩენ ხუთეულის მიერ, რომელიც გამოვიდა შემდეგ ცეკადან; ლევი ცდილობდა არა თუ დაეცა ნდობა კომინტერნისადმი, არამედ თავისი მოღვაწეობით ლახვარი ჩაეცა თვით პარტიისათვისაც. საკითხი იტალიის პარტიის შესახებ ამ უმცირესობამ, გამოდიოდა რა „პირადი პასუხისმგებლობისა და თავისი სინდისის" გრძნობიდან, დააყენა ისე, რომ ლახვარი ჩასცა ერთდაიმავე დროს იტალიის პარტიასაც, გერმანიის ახალგაზრდა გაერთიანებულ პარტიასაც და მთელი ინტერნაციონალის აღმასკომსაც. აი ცეკადან სწორედ ამ გამოსვლისათვის უმცირესობამ პასუხი უნდა აგოს თავისი სინდისის წინაშე. მაგრამ უმცირესობა ამით არ დაკმაყოფილდა, როდესაც წინანდელმა ბელადებმა დასტოვეს პარტია და შეიტანეს მასებში არევ დარევა, ახალი ბელადები ცდილობდენ მოკლე დროის განმავლობაში მოეწყოთ პარტია და მოემზადებიათ პროლეტარიატი ბრძოლისთვის. და ვერც მოასწრო პარტიამ შეკავშირებულიყო საბოლაოთ, რომ უცბათ კარდინგის პროვოკაციის წყალობით ის იძულებული გახდა ჩაბმულიყო აქტიურ ბრძოლაში. მაშინ ამ ვაჟბატონებმა დაიწყეს ლაპარაკი სინდისის და პასუხისმგებლობაზე. ვინ, თუ არა ისინი არიან დამნაშავენი იმაში რომ, რომ პარტია არ იყო საკმარისათ მომზადებული. დატოვეს რა პარტია კრიტიკულ წუთში მძიმე მდგომარეობაში, მათ ამას შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი შეცდომებზე. მაგრამ ესეც ცოტა იყო მათთვის. მათი დაუდეგრობის გამო გამოვიდა ლევის ბროშურა. ეს ბროშურა ლახვარი იყო პარტიისათვის, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა ჯერ კიდევ დიდ ბრძოლების გამო. მაგრამ მიუხედავათ პროპაგანდისა მათ ვერ შესძლეს ნიადაგის მოპოვება: არც ერთი რაიონი არ შეუერთდა მათ თვალსაზრისს.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვლაპარაკობთ აგრეთვე ცალკე პირებზე, ეს ხომ მთელი პარტიის გოლგოთა იყო, და თუ იმის შემდეგ, რაც მან მოიგერია ყველა ეს იერიშები, რამდენიმე ათასი მსხვერპლის შემდეგ, რომელიც მან გაიღო, თუ ყველაფერი ამის შემდეგ პარტია მთლიანათ შეურყეველი გამოვიდა, კიდევ უფრო გაძლიერა თავისი ძალები, ეს მხოლოთ იმას მოწმობს, თუ როგორი მაგარი და ჯანსაღი ფესვები აქვს მას.

ამხ. ცეტკინამ თქვა, რომ სერატიმ რამდენიმე დაპირება მისცა მას, რომელზედაც მან ააგო თავისი დასკვნები და ამან აიძულა ის გასულიყო ცეკადან. მეტად ღირსშესანიშნავია აღვნიშნოთ, რომ ამხ. ცეტკინა უფრო ენდობოდა სერატის დაპირებებს, მასთან უბრალო საუბარს, ვიდრე გერმანიის კომუნისტურ პარტიას. ამხ. ცეტკინა ამბობს, რომ ის არასოდეს არ იქცევა თავის სინდისის წინააღმდეგ და არ შეუძლია დაეთანხმოს მასზე, რაზედაც არ შეუძლია პასუხი აგოს, მაგრამ თუ მას მოითხოვს პარტიის ინტერესები აუცილებელი საჭიროა იმოქმედოს თავის რწმენის მიხედვით. სრულიად დაუშვებელია პარტიაში რყევის პრაქტიკაში შემოღება. საჭიროა ეს მტკიცეთ იქნეს დაწესებული ყველა კომუნისტურ პარტიებისთვის. თუ ასეთი საგნებით დაიწყებენ თამაშს, ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღვგავოთ ასეთი ადამიანები. ამას გარდა არ უნდა ვებოდიშოთ ბელადებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პარტიას მოევლინებიან არა ხელმძღვანელებათ არამედ სარდლებათ. დისციპლინა უწინარეს ყოვლისა.

ამხ. ტერაჩინი (იტალიის კომპარტია) იწყებს თავის სიტყვას იმ ზოგიერთი უსწორობის შესწორებით, რომლებიც შეიპარა ამხ. ზინოვიევის სიტყვაში. ამხ. ტერაჩინი სრულიადაც არ ეუბნებოდა ამხ. ზინოვიევს, რომ იტალიის პარტია ასე ჩქარა იზრდება, რომ ის საომარი მოქმედებების წინაშე. პირიქით, ორატორი სავსებით ეთანხმება იმას, რომ იტალიის პარტიის უმთავრესი ამოცანაა დღევანდელ მომენტში მჭიდრო პროლეტარული ორგანიზაციის შექმნა. შემდეგ ამხ. ტერაჩი გადადის იტალიის საკითხზე, რომლის შესახებაც ის ლაპარაკობს იმდენათ, რამდენადაც ის დაკავშირებულია აღმასკომის ანგარიშებზე. ჩვეულებრივათ,—ამბობს ის აცხადებენ, რომ ჩვენ მოვახდინეთ იტალიაში რასკოლი. პირდაპირ საკვირველი არიან ის ამხანაგები, რომლებმაც დაივიწყეს მეორე კონგრესის დადგენილებები და 21 პირობა, რომელთა სიმძიმის ცენტრი მდგომარეობდა ოპორტიუნისტულ ელემენტების გაძევებაში. სერატი იყო მეორე კონგრესზე, ის მონაწილეობას ღებულობდა ამ საკითხის გარჩევაში. იტალიის სოციალისტური პარტია მონაწილეობას ღებულობდა ამ პირობების გამომუშავებაში და, მაშასადამე კიდევაც უნდა დამორჩილებოდა მათ. მაგრამ სერატის არ სურდა ეს და გაძევებული უნდა ყოფილიყო ყველა იმ დანარჩენებთან ერთად, რომლების დამალვაც მას უნდოდა, წინააღმდეგ მე-2 კონგრესის დადგენილებისა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რა გინდ მრავალრიცხოვანი და სხვადასხვანაირი არ უნდა იყვენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ისინი ერთში მაინც ერთად არიან—ჩვენზე თავდასხმაში. მაგრამ ერთმანეთს შორის მათ არ აქვთ ერთობა. ასე მაგალითად, ამხ. მარკოვიჩი იუგო სლავიიდან ამტკიცებს, რომ ჩვენ მოვახდინეთ რასკოლი მეტად გვიან იმ დროს, როდესაც ამხ. ცეტკინა ფიქრობს, რომ საჭირო იყო კიდევ დაგვეცადა. ხოლო თვით კონგრესი ლივორნოში განა საუკეთესო დამამტკიცებელი არაა იმისი, რომ მეტი ცდა არ შეიძლებოდა? მე 2 კონგრესის პირობები მიიღეს იტალიაში ოქტომბერში და დაუყონებლივ ამის შემდეგ დაიწყო ისეთი ენერგიული მზადება ყრილობისთვის, რომ უკვე ლივორნოში არაფერი არ იყო გასაკეთებელი: ყველაფერი ასე ნათელი და გარკვეული იყო ჯერ კიდევ ყრილობამდე. ლივორნოში იყო პარტიის გათიშვა კი არა, არამედ მე 2 კონგრესის დადგენილებათა სისრულეში მოყვანა და მოხდა სერატი აღმსრულებელთა რიცხვში თუ არა, ეს საქმეს არ ცვლის ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ უნდა დაგვეცადა კიდევ და გვეწარმოებინა თანამშრომლობა პარტიის შიგნით ოპორტიუნისტურ ელემენტებთან ერთად, ნიშნავს მდგომარეობის უცოდინარობას იტალიაში. მაშინ მემარჯვენე ოპორტიუნისტული ნაწილი არ შეუწუხდებოდა მეთოდების ამორჩევაში, დაიწყებდა აშკარა კამპანიას კომინტერნის წინააღმდეგ, ხოლო კომუნისტური ნაწილი კი მოკლებულ იქნებოდა მუშაობას, დარჩებოდა რა ერთ ორგანიზაციაში ოპორტიუნისტებთან.

ამხ. ცეტკინა ბრალს დებს ამხ. რაკოშის უფრო მეტად, ვიდრე კობაკჩიევს. მე არ მინდა ვიყო მის ვექილი, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ რაკოშიმ სწორეთ იგივე ქნა, რაც ამხ. კობაკჩიევმაც, აღმასკომმაც და მე-2 კონგრესმაც. ამიტომ ან უნდა დავეთანხმოთ ამხ. რაკოშის, ანდა ბრალი დავდოთ აგრეთვე ამხ. კობაკჩიევსაც და კომინტერნსაც. ჩვენ გვეკითხებიან, რატომ არ მოვახდინეთ რასკოლი საკითხში ფაბრიკების დატაცების შესახებ? ვინც ამ კითხვას გვაძლევს, ალბათ არ ესმის, რომ ლაპარაკი ფაბრიკების დატაცების შესახებ შეიძლება არა სასიამოვნო იყოს მხოლოდ ოპორტუნისტებისათვის, და არა ჩვენთვის. მეც, ჯენარიც და ამხანაგების მთელი ის ჯგუფიც, რომელიც არის ახლა აქ, ვიდექით იმ მილანის კონფერენციის სათავეში, რომელიც მოითხოვდა გადაჭრით მხარის დაჭერა იმ მოძრაობისათვის, რომელიც მიმართულ იყო ფაბრიკებს დატაცებისაკენ. მაგრამ შრომის კონფედერაცია, რომელსაც სათავეში უდგენ ოპორტიუნისტები, წინააღმდეგ იყო იმისი და შეგვეძლო აგვეღო ჩვენს თავზე პასუხისმგებლობა იმ იარაღით მოქმედებისათვის, რომელზედაც გადამჭრელ მომენტში უარი თქვეს მის შემქნელებმა.

დაბოლოს ამხ. ტერაჩინი აღნიშნავს აღმასკომის მერყეობას [illegible] სხვა და სხვა მუშა პარტიების მიმართ. ასე, მაგალითად, პოალეი-ციონელები დაშვებულ კონგრესზე სათათბირო ხმით იმ დროს, როდესაც ისინი არ ასრულებენ კომინტერნის ელემენტარულ მოთხოვნილებებს ყველა მუშების შესვლის შესახებ მათ რიცხვში ებრაელებსაც ერთიან კომუნისტურ პარტიაში. პოალეიციონელებს მეტად გადაჭრით უნდა დავუყენოთ ეს პირობა და არ მივცეთ მათ სრულებით არავითარი ხმა, სანამ ის არ იქნება მათ მიერ შესრულებული.

(დასასრული იქნება).

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო

გემი ამერიკიდან.

აგვისტოს 6 ბათომში ახალ ორლეანიდან ჩამოვიდა საბარგო გემი სურსათ-სანოვაგის ტვირთით—300,000 ფუთ. ამ რიცხვიდან 18319 ტომარა ფქვილი. [illegible]037 ტომარა მუხუდო, 9792 ტომარა ცერცვი, 1551 ტომარა ბრინჯი, 671 ტომარა ხორბალი, ძველი ტანისამოსი, ძველი საცვლები, საპონი და სხვა.

რუსეთი

რუსეთში ამერიკელთა განთავისუფლება.

ლიონი. 10 აგვ. (რადიო). ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ იქ მიღებულია კავშირისაგან დეპეშა განცხადებით, რომ ამერიკელი მოქალაქენი, რომლებიც ტყვედ იყვნენ ჩავარდნილი რუსეთში, განთავისუფლებულნი არიან და გაემგზავრნენ სამშობლოში. ორშაბათს ამერიკელები გასცდნენ რუსეთის საზღვარს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ჰუნგრეთი

ბოლშევიკები ჰუნგრეთში.

ბუდაპეშტი. ბუდა პეშტის პოლიციის პრეფექტმა (უფროსმა) ქალაქის ადმინისტრატიულ კომისიას წარუდგინა ივნისის თვისათვის საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია ბოლშევიკური აგიტაციის შემთხვევების რიგი. ერთ ქარხანაში დააპატიმრეს 4 მუშა კომუნისტურ ლიტერატურის გავრცელებისათვის. ტყვე ჰუნგრელები, რომლებიც ბრუნდებიან რუსეთიდან, მომარაგებულნი არიან ინსტრუქციებით სამშობლოში არალეგალურ მუშაობის საწარმოებლათ. მათ აქვთ მრავალი

ეროვნუ
ბიბლიოთ

უცხო ვალიუტა, განსაკუთრებით ფრანკები და დოლლარები. მათ დაუკლებული აქვთ ინფორმაციის მიწოდება რუსეთის საბჭოებისადმი.

ამ მოხსენებამ გამოიწვია დიდი მღელვარება უნგრეთის მმართველ წრეებში. სამშობლოში დაბრუნებულ ტყვეთა უმრავლესობას აღევნებენ სასტიკ თვალ-ყურს და მოთავსებულნი არიან განსაკუთრებულ კონცენტრაციულ ბანაკებში.

პოლონეთი.

გაფიცვა პოლონეთში.

ვენა. 8 აგვისტო, ვარშავაში გაიფიცნენ ყველა სამეურნეო იარაღის დამამზადებელ ქარხნების მუშები.

იტალია.

დეპუტატი—დეზერტირი.

რომი. 8 აგვისტო, (რადიო). იტალიის პარლამენტმა დანიშნა გამოძიება იტალიის შავრაზმელთა—ფაშისტთა მეთაურის დეპუტატ მიტოლინის მოქმედებების შესახებ, რომელსაც ბრალად სდებენ დეზერტირობას.

მონღოლეთი თხოულობს დახმარებას.

მოსკოვი. 2 აგვისტო, (რადიო). მონღოლეთის მთავრობამ მიმართა თხოვნით საბჭოთა ხელისუფლებას რათა უკანასკნელმა არ გაიყვანოს საბჭოთა არმია მონღოლეთის საზღვრებიდან უნგერნის და სხვათა თეთრ გვარდიელთა ნაწილების საბოლოვო ლიკვიდაციამდე.

ესპანეთი

მდგომარეობა ესპანეთში

პარიზი, 10 აგვისტო. (რადიო). „ჟურნალი დე დება“ სწერს: მთავრობის შემადგენლობის შეცვლა ესპანეთში აუცილებელია. ახალმა მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება მაროკოს საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას, აგრეთვე ფინანსიურ შეფერხებათა და ესპანეთში პოლიტიკურ ატმოსფერის გაჯანსაღებას.

მაროკო

ლიონი. 10 აგვისტო. (რადიო). მდგომარეობა მაროკოში უცვლელია, ესპანელთა წინააღმდეგ აჯანყება ჯერ არ გადასულა საფრანგეთის რაიონებში.

ანტანტა

უმაღლესი საბჭო

ლიონი. 10 აგვისტო. (რადიო). ორშაბათს უმაღლეს საბჭოს სხდომაზე მოუნდნენ ზემო სილეზიის საკითხზე ექსპერტთა მოხსენებების მოსმენას.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სადავო ზონა შესაძლებელია გაიყოს გერმანიასა და პოლონეთს შორის. ინგლისის წარმომადგენელმა კი წინააღმდეგ წამოაყენა ის მოსაზრება, რომ შეუძლებელია ზემო-სილეზიის ამგვარი სამრეწველო რაიონის გაყოფა. ეს რაიონი უნდა გადაეცეს გერმანიას. ამის საწინააღმდეგოდ ილაპარაკა საფრანგეთის ექსპერტმა, რომელმაც აღნიშნა შეუძლებლობა 80 პროცენტიან სადავო ტერიტორიის გერმანიისადმი გადაცემისა.

იტალიის წარმომადგენელი სცდილობდა შეთანხმებულ გამოსვლის ძებნას.

სხდომაზე კატეგორიულად აღნიშნეს ზემო-სილეზიის საკითხის სასწრაფო გადაწყვეტის აუცილებლობა. ლლოიდ-ჯორჯი ახარის უპირობოდ ამ საკითხის დაუყოვნებლივად გადაწყვეტის სურვილს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ამ საკითხს უნდა ფრთხილად შევეხოთ, რადგანაც ზემო-სილეზია 71 წლის განმავლობაში გერმანიას ეკუთვნოდა. ბრიანმა უარჰყო ლლოიდ ჯორჯის ცნობები და აღნიშნა, რომ სილეზია ჯერ მე-13 ტე საუკუნეში ეკუთვნოდა პოლონეთს და იზიარებდა ბოჰემიის ბედს. ყოველივე ამას ბრიანის მოსაზრებით არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, საჭიროა მხოლოდ ამ საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა, შექმნილ მდგომარეობის მხედველობაში მიღებით და ვერსალის ხელშეკრულებასთან შეთანხმებით.

სხდომის დასასრულ უმაღლესი საბჭო გადავიდა მცირე აზიის სამხედრო მდგომარეობის საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს მოხსენება პოლკოვნიკ გულუნიასი, პოლკოვნიკ გულუნიას მიერ გამოთქმულმა საერთო მოსაზრებებმა შესახებ ოსმალო-ბერძენთა მდგომარეობისა გამოიწვია ფოშის მხრივ მოწონება, რომელმაც განაცხადა, რომ ბერძნებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან ტაქტიკურ ნაყოფს, მაგრამ ბერძნების მხრივ საბოლოვო გამარჯვებაზე ლაპარაკი შეუძლებელია ჯერ ჯერობით. ფოშის აზრით ფრონტის მდგომარეობის მოულოდნელი შეცვლა შესაძლებელია დროისა და სხვა და სხვა წვრილ მიზეზების წყალობით, რომელთა წარმოდგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ავსტრია.

ავსტრიის მუშები ეხმარებიან დამშეულებს

ლონდონი. 2 აგვ. „დეილი ჰეროლდი“ სწერს: თუმცა ევროპის არც-ერთ ქვეყანაში მუშები ისე არ შიმშილობენ, როგორც ავსტრიაში, მაგრამ მაინც ავსტრიის მშრომელთა მასებმა დაიწყეს კამპანია რუსეთის დახმარების სასარგებლოთ. პროფკავშირებმა და სოც.-დემ. პარტიამ უკვე გახსნეს ხელის მოწერა.

ინგლისი.

მოწოდება დახმარებისთვის

ლონდონი. 2 აგვ. „დეილი ჰეროლდი“ აქვეყნებს მოწოდებას რუსეთისათვის დახმარების შესახებ. ინდივიდუალური დახმარება თითქმის უსარგებლოა, სწერს ვილიამსი. დახმარების რაოდენობა უნდა გამოიხატოს მილიონებში. თუ ინგლისი უწევდა დახმარებას ფულით კოლჩაკს და დენიკინს, რომელიც გამოიხატა რამდენიმე ას გირვანქა სტერლინგში, ახლა ინგლისმა უნდა მიუტანოს რუსეთს ფქვილი და სატრანსპორტო საშუალებები.

ბრეილსფორდის აზრი რუსეთის შესახებ.

ლონდონი. 2 აგვ. ბრეილსფორდი ინგლისის პრესაში სწერს რუსეთის მდგომარეობას და მოუთითებს რუსეთში 5 მილიონ ტონის ხორბალის გაგზავნის აუცილებლობაზე. ბრეილსფორდი დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთის ცნობას, ვინაიდან უამისოთ საბჭოთა მთავრობა ვერ შესძლებს შეიძინოს საზღვარ გარეთ ხორბალი. არსებობს ერთადერთი საშუალება ხორბლის შესაძენათ საზღვარ-გარეთ —ეს არის კრედიტი, რაც შეიძლება მხოლოთ მაშინ, თუ ბრიტანიის მთავრობა დაეხმარება მოსკოვს აიღოს სესხათ საჭირო თანხას. აუცილებელი საჭიროა შეაგნებინონ სიტის საქმიან წრეებს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო დახმარებას უწევს ყოველგვარ გონიერ ოპერაციას, რომელიც დაეხმარება საბჭოთა მთავრობას გაუმკლავდეს მოსალოდნელ სიძნელეთ.

ბრეილსფორდი შემდეგ აღნიშნავს საფრანგეთის შეთქმულობის არსებობას, საფრანგეთ-ფინეთის ხელშეკრულებას და ჰელსინგფორსის კონფერენციას და აცხადებს: თუ ასეთი შეთქმულება არსებობს, ის მაინც უნაყოფო იქნება. რესტავრაცია ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან გლეხები საკმაოთ ძლიერნი არიან, რომ ხელი შეუშალონ ამას. ასეთი გეგმის განხორციელება გამოიწვევდა მხოლოთ ანარქიას და ქაოსს. შეთქმულება დამარცხდება, თუ რუსეთი მიიღებს დახმარებას ინგლისისაგან.

სამხრეთ-სლავია.

კომუნისტების დევნა.

პარიზი 11 აგვისტო (რადიო). სამხრეთ სლავიის პოლიციელები აძლიერებენ რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ. სდევნიან ყველას, თუნდ ცოტათი შემჩნეულიც რომ იყვეს კომუნისტებისადმი თანაგრძნობაში. უმოწყალოთ [illegible] კომუნისტური პრესა და იხურება მათი კრებები.

ბალკანეთი

სერბიელთა და ალბანელთა შეტაკება.

ლონდონი. 11 აგვისტო (რადიო). სერბიელთა და ალბანელებს შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. ალბანეთის რეგულიარული ჯარები დამარცხდნენ. სერბიელები, სოფლების დაკავების შემდეგ, ჰხოცდენ მცხოვრებლებს და სწვავდნენ სოფლებს.

გერმანია

ზემო-სილეზიის გაყოფა.

რომი. 11 აგვისტო, (რადიო) უმაღლეს საბჭოს სხდომაზე ლლოიდ-ჯორჯი დაბეჯითებით მოითხოვდა გადაცემის აუცილებელ საჭიროებას გერმანიისადმი ზემო სილეზიის მთელი სამრეწველო ცენტრისა.

მის წინააღმდეგ გამოვიდა ბრიანი, რომელსაც მხარი დაუჭირა დენამ. გადაწყვიტეს სასწრაფოდ მოისმინონ ექსპერტთა მოსაზრება ზემოსილეზიის გაყოფის შესაძლოებაზე ეთნოგრაფიულსა, გეოგრაფიულსა და ეკონომიურის თვალსაზრისით.

მოსავალი

ნაუენი 3 აგვისტო (რადიო) გვალვა გერმანიაში ყოველ დღე ღებულობს დამღუპველ ხასიათს. მრავალი გლეხი იძულებულია გაყიდოს საქონელი მათთვის საკვებ მოსავლის უქონლობის გამო.

კართოფილის მდგომარეობა კატასტროფულია. ბერლინში გაიწვიეს გერმანიის ცალკე სახელმწიფოების მინისტრები და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები შექმნილ მდგომარეობის გასახილველად და მის შემამსუბუქებელ საშუალებების გამოსაძებნად.

საფრანგეთი

მოსავლის პირი

პარიზი 29 აგვისტო „ტანი“ იტყობინება საფრანგეთში ნათესების მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი. მოსავალი საფრანგეთში როგორც ფურაჟს აგრეთვე პურის ხორბლის მხრივ არ მოიტანს მოსალოდნელ შედეგებს კატასტროფიულ გვალვის წყალობით. მოსავალი ფაქტიურად დაიღუპა.

ქრონიკა

◆ **შვებულების გაგრძელება მსახიობებზე.** თანახმად აკადემიურ ცენტრის დადგენილებისა შვებულება სახელმწიფო დრამის მსახიობთ განუგრძელდათ 15 ენკენისთვემდე.

◆ **ქალაქის რევკომის კომუნალური განყოფილება.** ქალ. ტფილისის რევკომის დადგენილებით კომუნალური მეურნეობის განყოფილებას ყოველკვირეულად ეძლევა რევკომის თანხების სამოცი პროცენტი, რაიცა შეადგენს კვირაში 180,000,000. ამ თანხიდან 90 მილიონი გადადებულია წყალსადენის საჭიროებისათვის. დანარჩენი 40 პროცენტი ნაწილდება სხვა განყოფილებათა შორის ყოველ კერძო შემთხვევაში რევკომის თავმჯდომარის განკარგულებით.

◆ **ბანდიტიზმთან საბრძოლველად** და მისი დასაცავად. საგანგებო მილიციის შტაბი უნდა შევსებულ იქნეს ყველა იმ პირთაგან, რომელნიც სცხოვრობდენ ფშავის რაიონში და ატენის ხეობაზე და გაწვეული არიან სამხედრო სამსახურში, როგორც დაბადებულნი 1988—89—90 წ. წ. რადგანაც ისინი გაურბიან სამხედრო სამსახურს. ყოველივე კმაყოფა მილიციას მიეცემა საერთო მილიციის წესით.

რაც შეხება ა./წ. 21 ივლისის გროზნის ოლქიდან გადმოსულ ბოროტგამზრახველ ქისტებს, რომელთაც ატენის საზაფხულო საიალაღო, მთებიდან გარეკეს 600 სული ცხვარი მოკლეს ერთი მწყემსი და დასჭრეს ერთი, ეცნობოს საქართველოს რევკომს მიიღოს სათანადო ზომები და იქონიოს გავლენა გროზნის ოლქის რევკომზე, სადაც გარეკილია გატაცებული ცხვარი ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო გროზნის ქისტების თიანეთის მაზრის მცხოვრებთადმი ყაჩაღობას და ბანდიტიზმს.

◆ **უცხო ქვეშევრდომ დავრდომილთა დახმარება.** უცხო ქვეშევრდომ დავრდომილ დასახიჩრებულ მუშა-მოსამსახურეთ: პენსიით და სხვა სახის დახმარებით დაკმაყოფილების შესახებ შრომის კომისარიატმა დაადგინა ასეთ პირებს პენსია დაენიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შრომის უნარი სავსებით დაკარგული აქვთ

◆ **აბანოების მდგომარეობა.** არსებული წესით აბანოების ექსპლოატაციისა რევკომის დადგენილებით გაუქმებულ იქნა. მის მაგივრად მიღებული იქნა შემდეგი წესი: 1) ყველა აბანოებში გარდა მირზოევისა, გარდა შაბათისა 12 საათიდან და კვირისა კერძო მოქალაქეთ უფლება აქვთ ისარგებლონ სათანადო ფასით გადახდის შემდეგ. შაბათის 12 საათიდან ვიდრე ორშაბათამდე აბანოებში ბანაობის უფლება აქვთ პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებს. მირზოევის აბანოში ბანაობის უფლება აქვთ მხოლოდ პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებს დროის განუსაზღვრელად. ის აბანოები რომელთაც ამუშავება განზრახულია, დაექვემდებარებიან ზემოაღნიშნულ წესს. აბანოები, რომელნიც დატოვა კერძო მეპატრონეებს და, მიუხედავათ დანიშნულ ვადის გასვლისა მაინც არ მუშაობენ—ჩამორთმეულ იქნას და გამოცხადდეს ნაციონალურ საკუთრებად.

ამხ. კოლია კამალოვი

ენერგიული, მოუსვენარი, ცოცხალი, ნამდვილი რევოლიუციონერი... მისთვის არ არსებობდა საკუთარი საქმეები. განუწყვეტლივ მუშაობდა, აკეთებდა რევოლიუციონურ პარტიულ საქმეებს. იგი გამოდიოდა კრებებზე, სხდომებზე ფაბრიკა ქარხნებში—ყველგან; ის იღებდა აქტიურ მონაწილეობას ყოველივე სამუშაოში მთელ თავის ენერგიას ანდომებდა დავალებულ სამოქმედოს შესრულებას. მისთვის არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება მინდობილი საქმის აღსრულების დროს. რამოდენიმე დღის წინ ავათმყოფ მუშების აგარაკზე მოსაწყობათ ის გაემგზავრა აბასთუმანში, სადაც ის ას უცაბედათ მოყვა გადაბრუნებულ ავტომობილის ქვეშ და დაიღუპა.

დღეს ვაბარებთ მიწას რევოლიუციისათვის ფრიად ძვირფას ამხანაგის გვამს და მის ამხანაგებს დაგვრჩენია მხოლოდ უკანასკნელ მოვგროვდეთ ამხ. კოლია კამალოვის საფლავზე, და გამოვემშვიდობოთ მის გაცივებულ გვამს. მშვიდობით ჩვენო უდროოთ მოწყვეტილო ამხანაგო კოლია!

ს. გოდაბრელიძე.

პროვინციაში.

სოფ. ასურეთი.

24 ივლის, ასურეთის რაიონულ კომიტეტის მიერ იყო მოწვეული კრება სადაც დაესწრო მხოლოდ მუშა-გლეხკაცობა, მშრომელი ხალხი; რაიონულ კომიტეტის წევრმა კრება გახსნა და გააკეთა მოხსენება მომენტზე; რის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა, ასურეთის მუშა-გლეხკაცობამ მოხსენება ამხანაგისა, ვაცხადებთ რომ ერთად ერთი დამცველი მუშათა და გლეხთა ინტერესებისა არის საბჭოთა ხელისუფლება და ვაპირებთ რომ მტკიცეთ დავიცავთ მას.

შემდეგ ვუძღვნით მხურვალე სალამს საბჭოთა ხელისუფლებას და ფიცს ვსდებთ, რომ ყოველ მხრივათ დაუღალავი და შეუჩერებელი ენერგიით და შრომით მხარს დაუჭერთ ჩვენს მთავრობას.

შემდეგ კრება იხურება.

ქულაშელი.

—

ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კლუბი ხაშურში.

23 ივლისს ხაშურში გაიხსნა ჩვენი მასწავლებლის, ამხ. ფ. მახარაძის სახელობის რკინის გზის ახალი კლუბი, სწავლა განათლების განყოფილების სახელით მიტინგი გახსნა ამხ. მოწყვანელიძემ სრულიად შემთხვევით ამას დაესწრო ამხ. ფ. მახარაძეც, რომელმაც წარმოსთქვა მეტად მგრძნობიარე სიტყვა. ხალხი ოვაციით შეხვდა მას. მისასალმებელი სიტყვა უძღვნა ამხ. ფ. მახარაძეს წითელ არმიის წარმომადგენელმა ამხ. ბარამიძემ.

იქს.

—

საგურამო (დუშეთის მაზრა).

საგურამოს რაიონს წელს მოსავლის მხრივ ძალიან ჩამორჩა რადგანაც გაზაფხულის პირს არ იყო საკმარისი სინესტე; თუმცა რაც იყო, თავ-თავი კარგი გაიკეთა. ძალიან დაიმშა ხეობის 8 სოფელი, სადაც არც ყანა მოვიდა და სიმინდსაც ვერ სთესავენ რადგან ურწყავი ადგილებია ყველგან. ბარის სოფლებში კიდევ ხალხს სიმინდის იმედი აქვთ, რადგანაც სიმინდი ბლომათ არის დათესილი. თესვის კამპანიამ წელს მშვენივრათ ჩაიარა და არ დარჩენილა დაუთესავი არც ერთი მტკაველი მიწა, ხალხსაც დიდი იმედი ქონდა მოსავლისა, ბუნებას რომ არ ემტყუნა. ნამეტნავათ ხალხს აღონებს საქონლის ბედი ზამთარში, რადგანაც არ იქნება საკმარისი ბზე თუ თივა.

ბოლო დროს ამინდი გამოკეთდა, სიმინდების სასარგებლოთ წვიმები გახშირდა, სამაგიეროთ მკა და ლეწვა კი შეჩერდა. ჩვენ რაიონს თანდათან უახლოვდება თბილისიდან ხოლერა, რომლის წინააღმდეგაც ადგილობრივმა რევკომმა გამოსცა განკარგულება სოფლების ნაგავიდან გაწმენდაზე და აცრაზე. მკა ხელით მიმდინარეობს, ადგილობრივმა რევკომმა და სამეურნეო სკოლამ მოუწყეს ხალხს მანქანებით მკა და ორი მანქანა გამუდმებით მუშაობს, მანქანები აქ ახალი ხილია და ხალხს ძალიან მოსწონს. დღეში ერთ ფუთს ართმევენ ქირას. საერთო სულისკვეთება ჩვენებური გლეხისა კარგია მხოლოდ შიგა და შიგ ურევია სოფლის „კულაკები“. მენშევიკი ჩვენი მტრები რომლებიც გულს უცრუებენ ხალხს ჩვენ ახალ მთავრობაზე, მაგრამ ფართო მასის სიმპატია კი ჩვენსკენ არის, განსაკუთრებით კი ღარიბებისა.

აქ არსებობს კომპარტიის რაიონული კომიტეტი და ახალგაზრდობას კომუნისტური კავშირი იაჩეიკებით 5 ადგილას. არის აგრეთვე დაარსებული სკოლასთან პარტიული ბიურო სამკითხველო და მშვენიერი თეატრი, სადაც დრო გამოშვებით ორ კვირაში ერთხელ იმართება შინაარსიანი წარმოდგენები და ლექციები.

ჩვენ განზრახული გვაქვს შემოდგომიდგანვე ფართოთ მოვფინოთ ჩვენს რაიონს ახალი სახალხო სკოლები და შევუდგეთ აგრეთვე წერა კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას მთელს რაიონში. ხალხმა გაიგო, რომ ჩვენი მთავრობა აპირებს ჩვენ რაიონში ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გამოყვანას და სიხარულით ივსება, რადგანაც ხალხს კარგათ ესმის, რომ ხალხის ეკონომიური წარმატება დამყარებულია აგრეთვე კარგ გზებზედაც. სწორეთ ამ მიზნით ჩვენ ვაპირებთ აგრეთვე შემოდგომიდგან შევუდგეთ გზების შეკეთებას საფუძვლიანათ.

დაგორი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 56.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა ტყავის მოსაქმეთა დროებითი მობილიზაციის შესახებ.

რადგან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტყავეულობის განყოფილება აწარმოებს სასწრაფო მუშაობას—ფეხსაცმელის დასამზადებლად, რისთვისაც საჭიროა ტყავეულობის განყოფილების სახელოსნოთა შევსება ტყავის მოსაქმე სპეციალისტების საკმაო რიცხვით, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. გამოცხადდეს ქალაქ ტფილისში მობილიზაცია ტყავის მოსაქმეთა, ასაკით 18 დან 55 წლამდე შემდეგი სპეციალობისა: მეჩექმეთა, გამომჭრელთა, დამზადებულთა და სარაჯთა (მორნიკი).

2 მობილიზაციას ექვემდებარება:

ა. ის პირი, რომელიც კერძო წარმოებაში მუშაობს,

ბ. შინამრეწველი, რომელიც სახელმწიფო საჭიროებისათვის არა მუშაობს,

გ. ის პირი, რომელიც თავის სპეციალობას არ მისდევს და

დ., ზემოაღნიშნული სპეციალობათა უმუშევარი.

3. მობილიზაციით გაწვეულს უნდა შეენახოს ძველი სამსახურის ადგილი.

4 მობილიზაციით გაწვეულს მობილიზაციის განმავლობაში უნდა ეძლეოდეს თავისი დამქირავებლისაგან ნახევარი ის ჯამაგირი, რომელსაც იგი იღებს მობილიზაციის გამოცხადების დროს, აგრეთვე სასურსათო ულუფა მხოლოდ მისი ოჯახის წევრთათვის.

5. მიენდოს შრომის სახალხო კომისარს შეიმუშაოს მოკლე ხანში დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა მობილიზაციის წარმოების წესი და ვადა.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.
შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სვანიძე.
1921 წ. აგვისტოს 10 ტფილისი—სასახლე.

—

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

(დასასრული)

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ შესახებ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობისა და განვითარებისა ჩვენ დავსვათ საკითხი,—რა ინტერესი აქვს სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგში და როგორ შეუძლიან მას ამოწუროს თავისთვის სარგებლობა. უფლება შავი ქვის მადნების შიგნეულისა საქართველოს რევკომის დეკრეტის № 17 (1921 წ. 6 აპრილისა) მე 9 მუხლის ძალით, შესახებ მიწების და მის შიგნეულის გაეროვნებისა უკვე გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად, სახელმწიფოს უფლებები მადნების შიგნეულზედ, რომელიც მან მიიღო ამ დეკრეტის ძალით, ამოიწურებიან შემდეგის წესით, ძველი იჯარის ხელშეკრულებები გაუქმებულია, ძველი ნებართვები მოშლილია და ახალი ხელშეკრულებები შეიძლება იყოს დადებული მხოლოდ სახელმწიფოსთან, რომელსაც შეუძლიან, შემუშავებულ გეგმით, დააყენოს შემდეგში მადნების დამუშავება. ფინანსიური ინტერესი სახელმწიფოსი შავი ქვის მრეწველობაში საკმარისად უზრუნველყოფილია „ჩემოს“თან დადებულ ხელშეკრულებებით

რომლის თანახმად, ხაზინა, რომელიც არაფერს არა ხარჯავს და არაფერზე თავს არ იწუხებს, ღებულობს მნიშვნელოვან ნაწილს მოგებიდან, რომელსაც შავი ქვა გაიყიდება საზღვარ გარეთ, და ამის გარდა სურვილისამებრ მთელ ვალიუტას, რომელსაც მიიღებს „ჩემო“.

შავი ქვის მოპოების პროცესი სდგას ისე უბრალო და შინამრეწველურ ხასიათზე, რომ მრეწველობის სახელმწიფოს ხელში გადასვლა შეუძლებელი ხდება, მით უფრო რომ არავითარი ტეხნიკური გაუმჯობესობის შეტანა მასში არ შეიძლება. შავი ქვის მოპოების კერძო პირთა მრეწველთა ხელში დატოვებით სახელმწიფოს ინტერესი საკმარისად უზრუნველყოფილია, რადგან ამ საქმეში ცხოველი ინტერესს იჩენენ ყველა ის პირნი, რომელნიც აქამომდე აწარმოვებდნენ შავი ქვის მრეწველობას.

ამ ჟამად ს. ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში შემოდის ძველი საიჯარო ხელშეკრულებები, რომელნიც გაუქმებულათ ითვლებიან, იდება ახალი ხელშეკრულებები იმ გეგმით, რომელიც სპობს ველურ ექსპლოატაციას მადნებისას. შავი ქვის მრეწველობის გამოცოცხლება არ დაიგვიანებს, როგორც კი გაიხსნება საზღვარგარეთელ ბაზარზე პირველი საგრძნობელი პარტია, დაგროვილ დიდძალ შავი ქვისა.

საზოგადოთ, საქართველოს ყოველგვარ მრეწველობაზედ უნდა ითქვას, რომ იგი უმეტესად შინამრეწველობის ხასიათისაა და იმყოფება ჩანასახის მდგომარეობაში. ის სამრეწველო დაწესებულებიც-კი რომელნიც მოქმედებენ ფართე მასშტაბით, არ წარმოადგენენ [illegible] სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით. ასეთი არიან მაგალითად შუშხუნა წყლების, ყინულის მკეთებელი და ლუდის გამომხდელი ქარხნები. უკანასკნელნი ტეხნიკური მხრით მშვენივრათ არიან მოწყობილნი და შეუძლიათ იმდენი ნაწარმოები დაამზადონ, რომ ადგილობრივ მოთხოვნილებას გადააჭარბებს, მაგრამ რა ფასი აქვთ მათ, როდესაც მწვავეთ საგრძნობელია პურისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების ნაკლებობა. განა შეუძლია სახელმწიფოს ასეთ პირობებში დახარჯოს ენერგია [illegible] წარმოებლად, რომელიც იმავე დროს შთანთქავს დიდ ძალ ნედლ მასალას. ამგვარ საწარმოო დაწესებულებათა შესახებ სახელმწიფო იძულებულია, მიანებოს ისინი საკუთარ ძალღონეს და მხოლოდ აღრიცხვაზე იქონიოს მთელი ინვენტარი.

თამბაქოს მრეწველობა

მეურნეობის მსხვილ დარგთა შორის ღირსია ყურადღებისა თამბაქოს მრეწველობა. საქართველოში არის დიდრონი თამბაქოს ქარხნები. მათ შეუძლიანთ იმდენათ გააფართოვონ წარმოება, არამც თუ საქართველოს, არამედ მთელი ამიერ კავკასიის მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ. ყველა მანქანები რომ ნორმალურათ მუშაობდენ მათ შეუძლიათ დაამუშაონ 120.000 ფუთი თამბაქო, მაგრამ რადგან ამ წუთში მრავალ მანქანას სჭირია ძირითადი შეკეთება და მოქმედობს მხოლოდ ერთი მესამედი, დღეს შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ 40 000 ფუთი თამბაქო. ამ ჟამად ნედლი დასამუშავებელი თამბაქო საქართველოში ძალიან ცოტა მოიპოვება. თამბაქოს ძველი პლანტაციები დღეს მიგდებულია, უწინ დამუშავებულ 15.000 დესეტინა მიწიდგან დღეს დამუშავებულია მხოლოდ 300 დესეტინა, ამ ჟამად მიღებულია ზომები თამბაქოს მოყვანის გაფართოებისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი გარედგან უნდა მივიღოთ. ნედლი თამბაქო არის აბხაზეთში და ჩრდილო კავკასიაში. აბხაზეთის თამბაქო უკეთესია. იგი ადვილათ მოსატანიც არის და შეიძლებოდა მთელი საჭირო რაოდენობა თამბაქოი მიგვეღო იქიდან, დამუშავებულ ფაბრიკატზე (საქონელზედ) გადაცვლით. საქართველოში ამ ჟამად არის დამზადებული თამბაქო 78 000 ფუთი, პაპიროსები იკმარებს მთელი წელიწადი, მხოლოდ ბაბინები იკმარებს მარტო 4 თვეს და თუ ამ დროისათვის ჩვენ არ მივიღეთ ახალი პარტია, ყველა ქარხანები დადგება.

ზეთის გამომხდელი და საპნის ქარხნები.

იგივე უნდა ითქვას შესახებ ზეთის გამომხდელ და საპნის ქარხნებზე, რომელნიც თავის დიდძალოვნობით დააკმაყოფილებდნენ მთელ ამიერ კავკასიას, რომ ნედლი მასალა არ აკლდებოდეთ.

მარტო ტამუს და „ქერომასის“ ზეთის გამომხდელ ქარხნებისთვის საჭიროა 1.200 000 ფუთი ბამბის კურკა 120.000 ფუთი ზეთის გამოსახდელათ. საქართველოს საკუთარი ბამბა არა აქვს და მხოლოდ აზერბაიჯანს შეუძლიან მაწოდოს (და ისიც ნაწილი) ამ ნედლი მასალისა. საპნის ქარხნებისთვის საჭიროა 200 000 ფუთი სუროგატი და 800.000 ფუთი. ქონი პირველი აქვს ბაქოს. მეორე-ყუბანს. ეს, როგორც ბევრი რამ სხვაც გვაჩვენებს საქართველოს ეკონომიურად შეკავშირების აუცილებლობას მეზობელ რესპუბლიკებთან.

სხვა დაწესებულებებიდან ღირსია ყურადღებისა ტფილისის სპილენძის დამამუშავებელი ქარხანა, რომელიც თუმცა მოქმედობს ამ ჟამად, მაგრამ გაჭირვებულ მდგომარეობაშია სპილენძის უქონლობის გამო; აგრეთვე ხაშტარიას ქარხანა, რომელსაც შეუძლიან დაამზადოს წელიწადში 1000 ცალი გუთანი და 250 სიმინდის საცეხველი. მაგრამ ამ ქარხნის წარმოება დაეცა 98 პროცენტამდე, შედარებით მშვიდობიან დროსთან.

მატყლი და ყაჭი.

როგორც ჩანს ზემოხსენებულიდან ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი საქართველოს მრეწველობის გაჭირვებულ მდგომარეობისა, იმ მხარის რომელიც ნედლი მასალის ქვეყანაა, არის სწორეთ ნედლი მასალის უქონლობა, კრიზისი.

საქართველოს არა აქვს არც თავისი თამბაქო, არც ბამბა, არც თავისი თუჯის მოპოება, არც სპილენძი. მატყლი და ყაჭი საქართველოში საჭიროზედ მეტია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საგნების დამუშავება პრიმიტიულად სწარმოებს. საქართველოში მატყლი გროვდება 100 000 ფუთამდე. ამის დასამუშავებლად არის ქარხნები კუზნერისა და ქეროღლიანისა, მაგრამ ესენი უფრო სახელოსნოებია ხელის დაზგებით, რომელიც შინა მრეწველობასაც ძლივს დააკმაყოფილებს. ეს ქარხნები სამხედრო უწყების მოთხოვნილებასაც კი ვერ ასდიან. ყველაზე უკეთესად საქართველოში შეიძლება განვითარდეს აბრეშუმის წარმოება. ამ წლის პარკის მოსავალი 120.000 ფუთია ნედლი, რომლიდანაც 40.000 ფუთი მშრალი ყაჭი გამოვა მაგრამ გლეხებს სამაგიეროდ უნდა მიეცეს სხვა და სხვა საქონელი, რომელიც სახელმწიფოს ნაკლებად მოეპოვება.

ტრანსპორტი.

რკინის გზა მეტად მძიმე მდგომარეობაშია, რადგან დიდი დანაკლისია ორთქლმავლებისა და მოძრავ შემადგენლობისა, რომლის რიცხვი ყოველ თვიურად კლებულობს რადგან არ არის საშუალება შეკეთებისა და აგრეთვე მასალების ნაკლებობის გამო. კახეთის რკინის გზა შესაძლოა სულ მოკლე დროში დადგეს. გზატკეცილები რამდენიმე წლის განმავლობაში მოუვლელად და შეუკეთებლად იყვნენ დარჩენილნი. ამიტომ ბევრ ადგილას სრულიად გაუვალია. გზის ბეგარა ნორმალურად ვერ მოწესრიგებულა, რადგან სოფლის მცხოვრებთ ძალიან ნაკლებად ჰყავთ მუშა-საქონელი.

სურსათი.

პური საქართველოს არას დროს არ ჰყოფნიდა ადრეც. ყოველ წლივ შეტანილი პური უდრიდა ზედმიწევნით 500 000 ფუთს ე. ი. თითქმის მთელი საჭირო მოთხოვნილებისა 20 პროც.-ს უკანასკნელ წლებში ზოგან დიდმა სეტყვამ, ზოგან გვალვამ ძალიან დასცეს საქართველოს მეურნეობა. ფულით ვაჭრობის ტრიალის მოშლამ და მიმოსვლის (ტრანსპორტის) დაცემამ უფრო გააძლიერა სურსათის კრიზისი. განზრახული სასურსათო გადასახადის შემოღებას, თუ კარგი მოსავალი იქმნება, შეუძლია მისცეს სურსათის ფონდი, რომელიც შეუქმნის ბაზას სურსათის და მეურნეობის საღ პოლიტიკას.

ფინანსები

რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტი არ არსებობს, ერთად ერთი შემოსავალი ფულისა არის საბეჭდავი დაზგა, რომელიც ამზადებს დიდ ძალ ფულის ნიშნებს დღე ღამეში, როცა 3—4 ჯერ მაინც ნაკლებია, ვიდრე სჭირდება სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებებს. არ არსებობს ხარაჯები და საზოგადოთ სხვა რაიმე შემოსავალი. საგანგებო გადასახადი, რომელიც ეხლა უნდა გატარდეს, თუ მან რიგიანათ ჩაიარა, იმედს იძლევა, რომ არა თუ ფულის რესურსებს გააძლიერებს, არამედ რამდენადმე გააღონიერებს საფინანსო პოლიტიკას

საგარეო ვაჭრობა.

საგარეო ბაზარი, რომელიც მძიმე რეპრესიებს განიცდის იმის გამო, რომ დაგროვებულ [illegible] საქონელზე არ არის მოთხოვნილება, არაფერს არ აძლევს საქართველოს, რადგან საქართველოს არა აქვს დამზადებული ეკვივალენტი შავი ქვის გარდა, რომელსაც საზღვარ გარეთი არ ღებულობს მრავალგვარი მიზეზების გამო.

ასეთია საერთოდ ეკონომიური მდგომარეობა საქართველოსი, რომელიც ფრიად მძიმეა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მას არ შეუძლიან განცალკევებულათ, მინებებულს საკუთარ ძალ-ღონეზედ. აუცილებელია მეტად მჭიდრო კავშირი მეზობელ რესპუბლიკებთან და უმთავრესათ საბჭოთა რუსეთთან, ამიტომ მორიგი გადაუდებელი საკითხი საქართველოსათვის არის შექმნა ერთი ეკონომიური ორგანოსი ამიერ კავკასიურ მასშტაბში, მოწესრიგება იმ საკითხებისა რომლებიც საერთოა ამიერ კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის. მხოლოდ ერთგულ თანამშრომლობით მეზობელ რესპუბლიკებთან საქართველოს შეუძლიან გამოვიდეს ეხლანდელ კრიზისიდან და დასდგეს ეკონომიურ აღორძინების გზაზე და ძლიერათ განავითაროს თავისი საწარმოვო ძალები.

მ. ტორო[illegible]

ქ. ტფილისი
27 ივლისი 1921 წ.

დადგენილება № 54.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის დაარსების შესახებ.

1, საბჭოთა რუსეთის დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად დაარსდეს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი შემდეგი შედგენილობით:

ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე—ამხ. ს. ქავთარაძე (საქ. კომ. პარ. ცენტრ. კომიტ. წარმომადგენ.), თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დონენკო (საქ. კომ. პარ, ცენტ. კომ. წარმომადგენელი), კომიტეტის წევრები: ბ. კვირკველია (საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წევრი), ა. ნემჩინოვი (ქ. ტფილისის კომ. პარ. კომიტეტის წარმომადგენელი), სამოილოვა (ცალკე კავკასიის არმიის წარმომადგენელი), ძნელაძე (ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ცენტ. კომიტეტის წარმომადგენელი), ბობოხიძე—(საქ. წითელი არმიის წარმომადგენელი), ჟღენტი (საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი)

2. ცენტრალური კომიტეტი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქ. რევოლიუციონური კომიტეტის წინაშე და თავის მუშაობაში დამოუკიდებელია სახალხო კომისარიატთაგან.

3. ცენტრიდან კომიტეტს უფლება აქვს ისარგებლოს საბჭოთა ყველა დაწესებულების აპარატები.

4. ცალკე კანცელარია და შტატი ცენტრალურ კომიტეტს არა ჰყავს.

5, ცენტრალური კომიტეტის განკარგულება სავალდებულოა საბჭოთა ყოველ დაწესებულებისათვის იმდენად, რამდენადაც იგი ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებას არ ეწინააღმდეგება.

6. ყოველი კომისია, რომელიც დაარსებული იქნება ადგილობრივ—პროფ. კავშირებთან, ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვ,—მოქმედებს ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით,

7. სამი დღის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტი უნდა შეუდგეს თავის მუშაობას.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სვანიძე.
1921 წ. აგვისტოს 1 ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 23.

შრომის ადგილობრივ განყოფილებათ და ინსპექციებს.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე შრომის სახალხო კომისარიატი თავის ინსტრუქტორების საშუალებით შეუდგა შრომის ადგილობრივი ორგანოების მოწყობა—დაარსებას. ამ მიმართულებით მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო და ეხლა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებში მოწყობილია შრომის ადგილობრივი განყოფილებანი და ინსპექციები.

ვცნობთ რა საჭიროდ, რომ ამ ორგანოების ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას, მოგიწერთ, რომ:

1. შრომის კანონები და ცენტრიდან მიღებული განკარგულებები სისწორით და სასწრაფოდ სრულდებოდეს.

2. სისტემატიურად ხდებოდეს კოლეგიის სხდომები და ამ სხდომების ოქმები ეგზავნებოდეს შრომის კომისარიატს.

3. სისტემატიურად ეგზავნებოდეს შრომის კომისარიატში თვიური ანგარიშები განყოფილების და ინსპექციათა მუშაობაზე არა უგვიანეს შემდეგი თვის 5 რიცხვისა.

4. ეგზავნებოდეს აგრეთვე სტატისტიკური ცნობები მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების მიმდინარე მუშაობაზე, რაც საშუალებას მოგვცემს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დარგში საერთო მუშაობაზე და დროიანად შევადგინოთ სტატისტიკური ცნობები მომუშავეთა მოძრაობაზე.

შრომის კომისარის მოადგილე
ა. მიქაძე.
საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.
საორგან. საინსტრუქტ. ქვე-განყ.
დრ. გამგე პ. ჩანგვალაძე.

—

ბრძანება № 75.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ აგვისტოს 6 ს დადგენილებით, საქართველოს ს. ს. რ. უზენაეს რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრებად დაინიშნენ ამხ. ვ. ხუთულაშვილი და გ. ჩხეიძე.

ამხ. ანშელევიჩი განთავისუფლებულია უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრის თანამდებობიდან.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომ. ბ. მდივანი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სვანიძე
1921 წ. აგვისტოს 10.
ტფილისი-სასახლე.

—

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.
— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1 ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52
— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

შრომის სახალხო კომისარიატი და მისი თანამშრომელნი გულით დიდ მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, აგვისტოს 13-ს, დიდუბეში მოხდება დაკრძალვა უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგის

კოლია კამალოვისა.

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან (დიდი მთავრის ქუჩა, № 69) ნაშუადღევს სრულ 2 საათზე.

კვირას, 14 აგვისტოს, დილის 8 საათზე მუშათა კლუბში ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობაზე, (ვერის დაღმართი № 1) შესდგება საერთო კრება მბეჭდავთა კომფრაქციისა. რადგანაც დღის წესრიგში ფრიად ყურადსაღები საკითხებია, ამისათვის დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა-სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

რკინის გზის აგენტთა მოსამზადებელი ქართული ქვეგანყოფილება

აცხადებს, რომ მახლობელ დღეებში როგორც თბილისში, ისე ბათუმში, შორაპანსა და ხაშურში იხსნება სარკინისგზო პროფესიურ-ტეხნიკური კურსები რკინის გზის აგენტთა მოსამზადებლად და მუშათა საკვალიფიკაციოთ. თბილისში იხსნება კურსები შემდეგ თანამდებობათათვის მოსამზადებლად: სადგურის უფროსები, მათი თანაშემწენი, გზის ოსტატნი, მაშინისტები, მათი თანაშემწენი, ტეხნიკური მწერლები მორიგეობის უფლებით, კონდუქტორები, მწონავები, კასირები ყველა სახეობისა, ტელეგრაფისტები და ტელეგრაფის ზედამხედველები, თბილისის კურსებთან იქნება გახსნილი ინტერნატი და სასადილო. დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველთ შეუძლიათ: ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე № 117 სახლში, მეორე სართული, კურსების კანცელარიაში დილის 8 საათიდან—დღის 2 საათამდე; ხაზზე ზემოხსენებულ სადგურებზე, კურსების გამგეებთან. ხაზზე კურსები იხსნება მხოლოთ მუშათა საკვალიფიკაციოთ.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ. ს მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება. 7) სოფლად მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით,

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.